ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამხედრო საქმეთა კომისიის

## საინფორმაციო

# ბიულეტენი

## № 1

თბილისი 1989 წ.

დემოკრატიულმა მინიმუმმა, რომელიც "გარდაქმნისა" და "საჯაროობის" სახით შემოგვთავაზა მთავრობამ, იმედის სხივი ჩაუსახა ხალხს, ბევრი თვითდამშვიდებას მიეცა: აცადეთ, "დემოკრატიას სწავლობს" მთავრობა, რადგან საჯაროობა და გარდაქმნაა, ყველაფერი თავისით მოგვარდება, საჭიროა მხოლოდ [illegible] ლოდინი და არა მოქმედება – ბრძოლა.

რამდენად სწორია ასეთი პოზიცია? მოდით, რეალურად შევხედოთ ვითარებას. თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი თვითდამშვიდება და უმოქმედობა აზრად არავის მოსდის, რამეთუ დემოკრატია არ ნიშნავს უმოქმედობას, პირიქით, ის ნიშნავს ბრძოლას. სხვადასხვა პარტიები, ძალები იბრძვიან თავიანთი პრინციპების გამარჯვებისათვის და თუ დემოკრატიული ძალები არ იბრძოლებენ, მაშინ აუცილებლად ანტიდემოკრატიული ძალები იზეიმებენ გამარჯვებას. დემოკრატია ყველა ძალას აძლევს საშუალებას, იბრძოლოს, იმოქმედოს, დაამტკიცოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, სამართლიანობა, კანონიერება, რამეთუ კანონიერია ის და მხოლოდ ის, რაც ხალხს უნდა და რასაც მხარს უჭერს აბსოლუტური უმრავლესობა.

მრავალპარტიულობა და დემოკრატია განუყოფელი ცნებებია. ჩვენთან არ არის მრავალპარტიული სისტემა, მაგრამ დემოკრატიის მინიმუმმა "საჯაროობისა" და "გარდაქმნის" სახით მოგვცა შემდეგი სურათი: გააქტიურდნენ სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მქონე ძალები, დაიწყო ბრძოლა და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ვინც ფიქრობდა, რომ გარდაქმნა ნიშნავს უმოქმედობას და თვითდამშვიდებას, მწარე ცხოვრებისეული გაკვეთილები მიიღო. გავაანალიზოთ ზოგიერთი მაგალითი:

"საჯაროობასა" და "გარდაქმნასთან" დაკავშირებით ჩვენ შემოგვთავაზეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მთლიანად იქნა უარყოფილი ფართო საზოგადოების მიერ, როგორც არადემოკრატიული და ანტიეროვნული. განსაკუთრებით იქცევდა ყურადღებას 108-ე და 119-ე მუხლები. 108-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი ფაქტიურად აუქმებდა ძველი კონსტიტუციით ბოძებულ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკების გასვლის შესახებ უფლებას. 119-ე მუხლის მე-13-ე პუნქტი კი იცავდა 108-ე მუხლის მე-2-ე პუნქტს და იმუქრებოდა საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადებით რესპუბლიკაში. განსაკუთრებული მდგომარეობა კი ნიშნავს სამხედროების მიერ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დროებით გადაყენებას და მათ მიერ "წესრიგის" დამყარებას. პარადოქსია, რომ "გარდაქმნის" დროს დემოკრატიის ნაწილის მაგივრად, იმასაც კი გვართმევენ, რაც აქამდე გვქონდა. თვით ფაქტი ამ დრაკონული კანონების შემოთავაზებისა და მათი დამტკიცების მცდელობა მძიმე დანაშაულია და ამ დროს დემოკრატიაზე ლაპარაკი მკრეხელობაა და ცინიზმი.

პარადოქსია "საჯაროობისა" და "გარდაქმნის" დროს პრესაში და ტელევიზიაში გაჩაღებული შოვინისტური კამპანია მთელი ქართველი ერის წინააღმდეგ. ბევრი ასეთი – ერთი შეხედვით "პარადოქსული" ფაქტების მოყვანა შეგვიძლია ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. იმ დროს, როდესაც თითქოსდა უნდა დემოკრატიის ზეიმის მოწმენი ვიყოთ, ვრჩებით საშინელი ანტიდემოკრატიული რეალობის პირისპირ.

სწორედ ეს, ერთი შეხედვით "პარადოქსული" მოვლენები, რომლებიც სინამდვილეში მკაცრ კანონზომიერებებს ექვემდებარება, კიდევ ერთხელ, ამჯერად კი ცხოვრებისეულად და პრაქტიკულად ამტკიცებს იმ აზრს, რომ დემოკრატია და, მითუმეტეს, მისი აჩრდილი – "საჯაროობა" და "გარდაქმნა" – არ ნიშნავს უმოქმედობას, არამედ – ბრძოლას. ძალა მარტო ბოროტებას კი არ სჭირდება, ის ასევე სჭირდება სიკეთეს, ზნეობას, სამართლიანობას და კანონიერებას.

დანაშაულია ადამიანის მიერ ბრძოლაზე უარის თქმა მაშინ, როდესაც ის აუცილებელია. "გარდაქმნას" არ მიუნიჭებია ვინმესათვის რაიმე პრივილეგია. მან უბრალოდ, ხელ-ფეხი გაგვიხსნა როგორც ჩვენ, ასევე ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც: მოგვცა ერთი, მაგრამ ცდილობს, წაგვართვას მეორე. მაგალითად, მოგვცა ხმის ამოღების უფლება, მაგრამ ამ უფლებით რომ არ ვისარგებლოთ და არ გამოვთქვათ ჩვენი აზრი და ნება საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ, მოხდა მცდელობა სწორედ ამ უფლების წართმევისა და მისი დაცვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ძალისმიერი მოქმედებით. ძალაში იგულისხმება აზრის ძალა, მტკიცე ნება, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავდადება: გორკი ამბობდა: "არ არსებობს იმაზე დიდი ძალა, ვიდრე ადამიანის აზრია". მეორე მხრივ, არ არსებობს იმაზე დიდი საშინელება, ვიდრე უმეცრებაა, რომელიც თავის მხრივ, ბადებს უმოქმედობას.

ამ წერილის მიზანი არ არის ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ყველა მოვლენის განხილვა და გაანალიზება. ჩვენ უფრო მოკლე და საერთო დასკვნის გამოტანის მიზანი გვქონდა, მაგრამ თქვენი ყურადღება მაინც გვინდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მაგალითზე. ეს გახლავთ სამხედრო საკითხი. როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში "გარდაქმნამ" აქაც შეიტანა თავისი ერთი შეხედვით "პარადოქსული" და მოვლენადაც [illegible] გაირკვა სავსებით ლოგიკური და კანონზომიერი კორექტივები. ვითარება ჯარში, რომელსაც თქვენ გაეცნობით, პირდაპირ კავშირშია ჩვენებურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

"გარდაქმნასა" და "საჯაროობასთან" რა ის დარჩეთ, საბჭოეთში [illegible] "დემოკრატიის" შემოსვლასთან ერთად.

აკაკი გიორგაძე

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს ვ თ ა ვ ა ზ ო ბ თ ი მ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ს ს ა დ ა ც ნ ა თ ლ ა დ ა ა ა ს ა ხ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს- კ ა ც ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა შ ე ლ ა ხ ვ ი ს დ ა მ ა დ ა ს ტ უ რ ე- ბ ე ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს
მცხოვრებ ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში
მოქალაქე ირაკლი ალექსის ძე არაბულის

ახსნა - განმარტებითი ბარათი

ჩემი შვილი, მამუკა ირაკლის ძე არაბული, ზემო ალვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ასტრახანის ოლქის ჩორნი იარის რაიონში, პურკომბინატში, საიდანაც გაწვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. იგი მსახურობდა მოსკოვის ოლქის ქ. ჟუკოვსკში, ს/ნ. N52878. 1987 წლის ივნისიდან მსახურობის ამ პერიოდში რაიმე შენიშვნა არ მიუღია. ბოლო წერილებში იწერებოდა უფროსების მიერ კავკასიელების შევიწროებაზე. აღნიშნავდა, რომ უშუალო მათი უფროსები რომელი ჯარისკაცისაგანაც პატივისცემას ვერ ღებულობდნენ განსაკუთრებულად მკაცრად ექცეოდნენ.

ამა წლის 19 აპრილს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მწყობრის წინ გამოიყვანა ლეიტენანტმა მაქაროვმა და გამოუცხადა ხუთ დღე-ღამით პატიმრობა. ათეულის მეთაურმა რომ იკითხა დაპატიმრების მიზეზი, ლეიტენანტმა მაქაროვმა ბრალდებად წაუყენა უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევა. იმავე საღამოს მაქაროვმა მამუკა წაიყვანა მეზობელი ნაწილის ჰაუპტვახტში, რადგან მათ ნაწილს საპატიმრო არ ჰქონია. საპატიმროს უფროსი იყო სისასტიკით და სადიზმით ცნობილი კამენკო, რომელსაც თავისი ხანგძლივი სამსახურის მანძილზე ბევრი არარუსი ჯარისკაცი უწამებია. სავარაუდოა მაქაროვმა დაავალა ჯალათ კამენკოს არაბული განსაკუთრებულად ეწამებინა. მამუკას ამხანაგი ჯარისკაცები აღნიშნავდნენ მაქაროვის განსაკუთრებულ პირად დამოკიდებულებას მამუკას მიმართ: მათ შორის ინციდენტი პირველად მოხდა დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე სამუშაოზე წასვლის წინ ავტობუსში ასვლისას მაქაროვი უხეშად მოექცა მამუკას, რომელმაც თავი ვეღარ შეიკავა და უხეშობითვე უპასუხა. ამაზე ჰყვებიან მამუკას ამხანაგები. მშენებლობაზე მისვლისას მაქაროვმა და გიორგი ტუმირატოვმა მამუკა გამოაცალკევეს. გიორგი ტუმირატოვი არის მშენებლობის უფროსის ვაჟი, წარმოშობით ხაშურელი ოსი, რომელმაც არ იცის არც ქართული და არც მშობლიური ენა, არის რუსულ ტრადიციებზე გაზრდილი და მუშაობდა მამასთან მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად.

აღნიშნულმა პირებმა მამუკა შეიყვანეს ჯარისკაცების გასახდელში, პირველად მამუკა შევიდა, მას მიჰყვნენ მაქაროვი და ტუმირატოვი. მოულოდნელად მაქაროვმა გაარტყა მამუკას. მამუკამ წამიერად გრძნობა დაკარგა. გრძნობაზე რომ მოვიდა, მაქაროვმა კვლავ გაარტყა და ლეიტენანტმა უმოწყალოდ სცემა. ამ დროს ტუმირატოვი მაყურებლის როლში გამოდიოდა. ბოლოს მამუკამ შეძლო ხელი ეტაცა იქვე დადებული ნაჯახი და გაიწია ლეიტენანტისაკენ. ტუმირატოვმა საშუალება არ მისცა მამუკას ემოქმედნა. მაქაროვი გარეთ გავარდა. ხმაურზე მეზობელი კორპუსის ოთახიდან გამოცვივდნენ ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც დაინახეს დასისხლიანებული და ჩალურჯებული მამუკა, მიხვდნენ მდგომარეობას, სტაცეს მაქაროვს ხელი და მიიწადინეს ცემა. მაქაროვს ტუმირატოვი გამოესარჩლა და არ მისცა ჯარისკაცებს საშუალება ეცემათ მაქაროვი. ამ ამბის მოწმენი არიან ჯარისკაცები - შალვა ჯუღელი, კახა ლადუა, ნოდარ მესტოიანი, რამაზ ხიქაძე. ჯარისკაცებმა ურჩიეს მამუკას ეჩივლა მაქაროვისათვის, მაგრამ მამუკამ ეს არ ისურვა, ასე გადმოგვცემენ ამ ამბავს მისი ამხანაგი ჯარისკაცები.

მომხდარი ამბის შემდეგ მაქაროვმა და ტუმირატოვმა სისტემატიურად დაიწყე

ნაწილის უფროსთან, რუხაძესთან, მამუკას დასმენა, ცილისწამება, თითქოს მამუკა არღვევდა ტექნიკის უსაფრთხოების წესებს, რის შედეგადაც რუხაძე შეცდომაში შეიყვანეს და ხუთი დღის პატიმრობა მიუსაჯა მაჟაროვმა რუხაძის სარჩელით.

მეექვსე საკნის პატიმარი ბაქოელი სომეხი მურადიანის გადმოცემით ჰაუპტვახტის მე-7, მე-8, და მე-9 საკნებში სამი პატიმარი მოიყვანეს, მათ შორის იყო მამუკაც. მამუკა მე-9 საკანში მოათავსეს. თითოეული პატიმრის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა წამების მეთოდი, რომელსაც ჯალათები "ლასტოჩკას" ეძახიან, რაც მდგომარეობს შემდეგში: ჯარისკაცებს აგდებენ მუცელზე, ხელებს ზურგზე უბამენ, გაკოჭილ ფეხებზე მოჭიმავენ თოკს, კისერზე გადმოაცმებენ და ნელ-ნელა, მეთოდურად თოკს ჭიმავენ, ძლიერი ტკივილებისაგან მსხვერპლი ღრიალებს, თოკის უფრო მეტად მოჭიმვის შემდეგ ყვირილს შეწყვეტს, პირიდან ქაფი გადმოსდის, ხრიალს იწყებს და პატიმარი უკვე გრძნობას კარგავს. ჩვით ამ მეთოდით არა ერთხელ უწამებიათ მურადიანი გრძნობის დაკარგვამდე.

ამ მეთოდით აწამეს მე-7 საკნის პატიმარი სათოევი/ჩრდილო კავკასიელი ქისტი/, შემდეგ ასეთივე წამება გაგრძელდა მე8-ე საკანში, სადაც იმყოფებოდა საბა ბრეკაშვილი, ბოლოს მოვიდნენ მე-9 საკანში, სადაც მამუკა იმყოფებოდა. მამუკას საკნიდან დაახლოებით 20 წუთი ისმოდა ყვირილი და ხმაური. მურადიანის გადმოცემით მამუკას ყვირილი ხრიალით შეიცვალა, რაც მალე მთლიანად შეწყდა.

მურადიანი ამბობს: მე მივხვდი, მამუკამ გრძნობა დაკარგაო, მამუკას წამებას წარმართავდა ჰაუპტვახტის უფროსი კამენკო თავისი სამი ჯარისკაცით, წამებას ესწრებოდნენ: ნაწილის მორიგე მაიორი შამრაი, ყარაულის უფროსი - უფროსი პრაპორშჩიკი კოლოსოვი.

მამუკას სიკვდილის დღეს, 28 აპრილს, მაიორ შამრაის შეხვედრით მშენებლობის ტერიტორიაზე რვა ქირისუფლისა და 5 ჯარისკაცის თანდასწრებით, როცა იგი დაუდანაშაულეთ მამუკას მკვლელობაში მონაწილეობის მიღებაში, მან ცინიკურად განაცხადა - მე მამუკას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია, მე ვიდექი და ვუყურებდი.

ჯარისკაცი მურადიანი ამბობს: მამუკას წამების შემდეგ ჯალათებმა ჩემს საკანთან რომ გამოიარეს, კამენკოს ვთხოვე არაბულისათვის თოკები შეეხსნათ თორემ იგი დაიხრჩობა-მეთქი, რაზეც მან მიპასუხა: ჩუმად იყავი მურადიანო, თორემ შენც მაგას გიზამთო. ისინი წავიდნენ და 15-იოდე წუთის შემდეგ დაბრუნდნენ ნაწილის უფროსის პოდპოლკოვნიკი იანოვიჩის, შტაბის უფროსის დაკალიუკისა და ნაწილის უფროსის მოადგილის პოლიტნაწილში მაიორ სადოვენკოს თანხლებით და დაიწყეს წამებულის თოკებისაგან განთავისუფლება. ჯერ მე-7 საკანში შეუხსნეს თოკები სათოევს, პატიმარი ლასლასით წავიდა პირის დასაბანად. შემდეგ გაანთავისუფლეს მე-8 საკნის პატიმარი საბა ბრეკაშვილი, რომელმაც წამებისაგან გატანჯულმა სავარცხლის ნატეხით სცადა ვენების გადაჭრა: საბა ბრეკაშვილი დააწყნარეს კიდევ გავიდა გარკვეული დრო. შემდეგ შევიდნენ მე-9 საკანში. ატყდა ჩოჩქოლი და აქეთ-იქეთ სირბილი. არაბული გამოიტანეს დერეფანში და დაიწყეს პირველი დახმარების აღმოჩენა. მე დავინახე, რომ ერთ-ერთმა მამუკას ხელი აუწია და როცა გაუშვა, ხელი დაეცა მოწყვეტით. მაშინვე მივხვდი, რომ მამ მოახრჩვეს ჯარისკაცი. 1-2 საათის განმავლობაში თვითონ ცდილობდნენ, ნაწილის ექიმის დახმარებით მოეყვანათ გრძნობაზე, შემდეგ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა. სასწრაფო დახმარების პერსონალი 2 საათის განმავლობაში ცდილობდა მის გადარჩენას, რითაც ძვირფას დროს კარგავდნენ და ბოლოსღა წაიყვანეს ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც იგი გრძნობაზე მოუსვლელად 28 აპრილს გარდაიცვალა.

მამუკა არაბულის ამბავი კერძო შემთხვევა არაა. ეს მეთოდი შეიარაღებულ ძალებში დამკვიდრებული და მეთაურებისათვის კარგად ცნობილი წამების მეთოდებია, რომლებსაც იყენებენ არარუსი ჯარისკაცების მიმართ. მარტო ჩვენ ალვანში ოთხი შემთხვევა აღინიშნა ამ ბოლო ხანებში, რომელიც ჯარისკაცების სიკვდილით დამთავრდა, გაურკვეველ გარემოებაში, გაურკვეველი მიზეზებით/გოგი თენგიზის ძე წკიპოშვილი - მოკლულ იქნა თოფით და სასამართლოზე მშობლებიც კი არ დაუშვიათ: 2. მამუკა კოსტას ძე იდიძე - ამბობენ გაიგუდა. ზუსტი მიზეზი არავინ იცის. 3. ხვიჩა გიგოს ძე თორღოშვილი - ვითომ რაკეტამზიდის ქვეშ უცნაურ გარემოებაში დაიღუპა. მიმდინარე წლის ოთხ თვეში თბილისის აეროპორტის ტვირთის მიმღების პერსონალის ჩვენებით მსგავსი 28 შემთხვევაა.

როგორც ირკვევა, ქალაქ ჟუკოვსკის სამხედრო ნაწილში ჯალათი კამენკო ადრეც მიმართავდა არარუსი ჯარისკაცების წამებას, რაც შეუძლებელია არ სცოდნოდათ კამენკოს უფროსებს. ამ მიმართულებით შეიძლება დასახელებულ იქნას თვითმხილველნი და დაზარალებულნი.

1985-87 წლებში სამსახურობდა ქალაქ ლიტკარინოში, ჩვენი ალვანში მცხოვრები თენგიზ აბოს ძე მიქაიძე. მიქაიძე ჯალათმა კამენკომ სხვადასხვა მეთოდებით აწამა, რის შედეგადაც დაავადდა ფილტვებით და ერთი თვის განმავლობაში სამხედ-

რო ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. ასევე მრავალჯერ უწამებიათ თელავის მცხოვრები ვანო ბერძენიშვილი, რომელიც თენგიზ მიქაძესთან ერთად მსახურობდა. მასზედაც გამოუყენებიათ წამების მრავალი მეთოდი, მათ შორის "ლასტოჩკაც".

1983–85 წლებში თბილისელი მამუკა აკაკის ძე მამულაშვილი ირაკლი არაბულის მიერ ბევრჯერ იყო ნაცემები და მასზეც იყენებდა წამების მრავალ მეთოდს.

ჩემთვის ეს წარმოუდგენელია. აქამდე ასე მეგონა, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ანდა სხვა ფაშისტურ ქვეყანაში. რითი ავხსნათ, როცა ყ ეს ყველაფერი ხდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. ფუჭად ხომ არ ჩაუვლია იმ შვიდასი ათასი ქართველის სისხლს, ბოლო ომში რუსეთის საქმისათვის რომ დაანთხია საქართველომ? ეს ტერორი გამომდინება ხომ არაა იმ კამპანიისა, რომელსაც ცენტრალური პრესა ეწევა ქართველ მოღვაწეთა წინააღმდეგ. ჩვენ დათრგუნული ვართ და გამოსავალს ველით!

ირაკლი არაბული. ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანი.
5 მაისი – 1988 წ.

## გივი ამირანის ძე კირვალიძის ჩვენება

"ვიმსახურე ლიტკარონოში 85–87 წლებში. ჰაუპტვახტში ნაჯდომი ვარ 80 სუტკამდე. პირველად მოვხვდი ორი კვირის ნამსახურები, 5-სუტკით, კამენკოს ჰაუპტვახტში, სადაც კამენკოს მითითებით მაწამეს. ბიჭებმა დამიჭირეს, ხელ-ფეხი დამიჭირეს და მცემეს ფეხებით და თოფის კონდახით.

ქართველებს აბუჩად იგდებდნენ. ჰაუპტვახტში რუსებს არ ამუშავებდნენ, ქართველებს და საერთოდ კავკასიელებს კი ამუშავებდნენ და თან დასცინოდნენ: მაგალითად, დილით ადრიანად რუსებს არ აყენებდნენ საწოლიდან, ქართველებს კი გვაიძულებდნენ ავმდგარიყავით და გველოდინა როდის გაიღვიძებდნენ რუსები. აი ასეთი დამცირებები გადავიტანეთ კავკასიელებმა.

გივი ამირანის ძე კირვალიძე. თელავის რაიონი, სოფ. ვანთა.

## თენგიზ აბრამის ძე მიქაძის ჩვენებიდან

1985–87 წლებში ვმსახურობდი ქ. ლიტკარინოში, ს/ნ. №55221. ჩვენს ნაწილს არ ჰქონდა ჰაუპტვახტი, ამიტომ პატიმრებს აგზავნიდნენ ახლო ნაწილებში განლაგებული ორი ჰაუპტვახტიდან ერთ-ერთში. განსაკუთრებული სადისტური წამების მეთოდით გამოირჩეოდა 015 ნაწილის ჰაუპტვახტი.

ჩემი იქ სამსახურის დროს იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ნაწილის ჯარისკაცი აწამეს, სცემეს და "ლასტოჩკას" წამების მეთოდიც გაუკეთეს. შემდეგ დაავადმყოფებული ნაცემი ჯარისკაცები გადმოჰყავდათ ქ. სიჩკის სამხედრო ჰოსპიტალში. ჯალათი კამენკოს გვარის გაგონება ჩვენს ჯარისკაცებს შიშის ზარს სცემდა და ვცდილობდით იმის ჰაუპტვახტში არ მოვხვედრილიყავით. არ შეიძლებოდა მეთაურებს არ სცოდნოდათ კამენკოს წამების მეთოდების შესახებ, ნაწამებ ჯარისკაცებს ხომ სამხედრო ჰოსპიტალში აგზავნიდნენ.

1985 წლის დეკემბერში მომისაჯეს 5 დღე-ღამის პატიმრობა, კომენკოს ჰაუპტვახტში მიმიყვანეს და ჩამსვეს მე-5 საკანში. მეორე დღეს დერეფანში აწამეს უზბეკი ჯარისკაცი, ხმაურის მიხედვით მივხვდი, რომ ჯერ სცემეს და მერე აწამეს, შემდეგ საერთო საკანში შეაგდეს. შემდეგ შემიყვანეს ჩემს მეზობელ საერთო საკანში, მაგრამ იქ იმყოფებოდა ერთი აზერბაიჯანელი თუ სომეხი ჯარისკაცი, ყვირილზე და ტირილზე მივხვდი, რომ მას ერთი კი არ სცემდა, არამედ რამდენიმე ჯალათი. ბოლოს ცემა შეწყდა, მოისმა ცაბურების ჭრიალი და კაცის ხრიალი, მივხვდი, რომ მას "ლასტოჩკა" გაუკეთეს და ცაბურებზე დაკიდეს. დილეგის ჯალათებს შორის სისასტიკით გამოირჩეოდნენ კომენკო და ჯარისკაცი ჟუკი. ჩემი სამსახურის დროს არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა რომ წამების ეს მეთოდი რუსი ჯარისკაცებისთვის გაეკეთებინოთ. არარუს ჯარისკაცებს რომ "ლასტოჩკას" მეთოდით აწამებდნენ, ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრი იყო.

პირადად ჩემთვის წამების მეთოდი "ლასტოჩკა" არ ჩაუტარებიათ, მაგრამ პირველ დღეს კონდახი დამარტყეს მხარში, მეორე დღეს სკამი წამართვეს. საკნის მინა გატეხილი იყო, ეგებ სპეციალურად ამოღებულიც, რის გამოც შიგნით იგივე ტემპერატურა იყო, რაც გარეთ, ეს კი დეკემბრის თვეში ხდებოდა. შემდეგ კი ის იყო მესამე დღეს ფილტვების ანთება დამემართა. ჯერ რუს სერჟანტს ვემუდარე სან. ნაწილში გავეგზავნე, მან ყური არ დამიგდო, შემდეგ მოლდაველ სერჟანტს, მასთან გასჭრა მუდარამ, გაიღო მოწყალება და სანიტარულ ნაწილში მიმიყვანეს. შემდეგ გადამიყვანეს სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ერთი თვე ვმკურნალობდი.

ერთი მეგრელი ჯარისკაცის გვარი მახსოვს – ჩიტაია დათო, რომელსაც წამე-

ბის მეთოდი "ლასტოჩკა" გაუკეთეს, საწყალი ერთი პატარა ჩია ტანის ბიჭი იყო ამ მეთოდის წამებას როგორ გაუძლო?! მე მისი სურათებიც მაქვს.
ნახეთ თელაველი ვანო ბერძენიშვილი, რომელიც ორი წელი ჩემთან მსახურობდა და არაერთ გზის უწამებიათ, ისიც ბევრ საგულისხმოს გეტყვით.

თენგიზ მიქაძე. 4 აპრილი. ზემო ალვანი.

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ჯ.პატიაშვილს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარეს
პ.გილაშვილს
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ო.ჩერქეზიას
საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის
სავალდებულო - სამხედრო მომსახურეთა მშობლების

თინათინ პლატონის ას. ლებანიძის, მცხ: ქ.თბილისი ბარნოვის ქ.15

გურამ ელიზბარის ძე გვიმრაძის, ცხ. ქ.თბილისი გორის ქ. 24

ივანე ავთანდილის ძე ბექაურის, მცხ. ქ.თბილისი დელისის ქ. 7

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვასილ ჯუმბერის ძე ლებანიძე, დავით გურამის ძე გვიმრაძე და კობა ივანეს ძე ბექაური სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადიოდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა სამხედრო ნაწილში ს/დ 47490.

სამხედრო სამსახურში ისინი გაწვეული იქნენ 1988 წლის მაისში ქ. თბილისის სამხედრო კომისარიატების მიერ. ჯარში გაწვევამდე სწავლისა და სამსახურის ადგილებზე სამივე ხასიათდებოდა, როგორც უაღრესად კეთილსინდისიერი, პატიოსანი და მშვიდი ადამიანები.

სამხედრო ნაწილში მოსვლისთანავე ოფიცერთა შემადგენლობის მითითებით დაიწყეს მათი აბუჩად აგდება, სისტემატურად აიძულებდნენ, განაწესის გარეშე გაერეცხათ ტუალეტი, ასუფთავებინებდნენ შენობებს, ამცირებდნენ მათ ნაციონალურ ღირსებას, სცემდნენ ვითომდა დისციპლინის დარღვევისათვის. საერთოდ, მათ და სხვა ქართველი ეროვნების ჯარისკაცებს უყურებდნენ, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანებს, რომლებსაც შეიძლება დასცინო, აბუჩად აიგდო და ა.შ.

ასეთი შევიწროვების გამო ბოლო თვეებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე გაქცევას არარუსი ჯარისკაცების მიერ, ტრიბუნალის მიერ გასამართლებული იქნა ოთხი ჯარისკაცი /ყველა ქართველი/, ჰაუპტვახტებში ძირითადად ქართველები არიან.

1988 წლის ივლისში, ღამის ორ საათზე კი ადგილი ჰქონდა ინციდენტს რუს სერჟანტსა და ჩვენ შვილებს შორის, რომელიც მომდინარეობდა სერჟანტის უსაფუძვლო მოთხოვნიდან. ამ ინციდენტის დროს მათ მიაყენეს ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა, რომლის დამწყებიც ისევ და ისევ სერჟანტი იყო.

აღნიშნული ინციდენტის გამო ჩვენი შვილები ცალ-ცალკე მოათავსეს ჰაუპტვახტში: ვასილ ლებანიძე ჩამოკიდეს ჭერზე თოკით ე.წ. "ლასტოჩკას" წამების მეთოდით. ჰყავდათ რა იგი ასეთ მდგომარეობაში, ურტყავდნენ წიხლებით და კონდახით. წამებისაგან უკიდურეს ნერვულ მდგომარეობაში მყოფმა ლებანიძემ დაიწყო სიმღერა, რათა, როგორც თვითონ აცხადებს, "ტკივილი არ გადასულიყო".

მხოლოდ და მხოლოდ ლებანიძის ფსიქიკური შერყევის შიშმა აიძულა ჯალათები ჩამოეხსნათ იგი, მაგრამ ამის შემდეგაც შვიდი დღის განმავლობაში მას რეგულარულად სცემდნენ ღამის მორიგე ზედამხედველები.

სისტემატიური დამცირების შედეგად რიგითმა ლებანიძემ მიიღო ნერვული დაავადება, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არავინ არ დაინტერესებულა და სასამართლომდე სამედიცინო კომისიას არ შეუმოწმებია, თუმცა აშკარაა, რომ ის სერიოზულად არის ავად.

რაც შეეხება კობა ივანეს ძე ბექაურს, იგი აწამეს შემდეგნაირად: ფეხებით დაჭერილი რამდენჯერმე ჩაუშვეს თავით ნარეცხი წყლით სავსე ტაშტში, რის შემდეგაც მიწაზე დაგდებულს მთელი კასრი ზედ გადაასხეს. ამის გამო კობა ბექაურს დაემართა ყურების უკიდურესად მძიმე ანთება.

გვიმრაძე დავით გურამის ძე აწამეს შემდეგი სახით: ჰაუპტვახტიდან გამოიყვანეს ეზოში, მოფარებულ ადგილას, სადაც მხეცურად სცემეს. ამის შემდეგ სრულიად დაუძლურებული აიტანეს ყაზარმის მეორე სართულზე მდებარე ტუალეტში, რის შემდეგაც საკუთარი სხეულით თრევა-თრევით მოაწმენდინეს ტუალეტი. სასტიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთილი დათო გვიმრაძე თავის მოკვლის მიზნით გადმოხტა მეორე სართულის ფანჯრიდან. მიწაზე დავარდნისას მას დაუზიანდა ორივე ფეხი. დავრდომილი გვიმრაძე ბადეს საკაცეზე, შემოაცურეს მთელი პოლკი, თან დასცინოდნენ: " აი თქვენი ქართველიო".

სამხედრო პროკურატურის მიერ ჩვენს შვილებს მიესაჯათ – გვიმრაძეს და ბექაურს ორ-ორი, ხოლო ლებანიძეს – სამი წელი, სასჯელის დისციპლინარულ ბატალიონში მოხდით.

ზემოთქმულზე და სხვა უწესობებზე, რაც აღნიშნულ ნაწილში ხდება, კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უკვე თქმულიდანაც შეიძლება სათანადო დასკვნების გაკეთება.

მოვითხოვთ, რომ თქვენი მხრიდან მთელი სიმკაცრით აღიძრას ჩვენი შვილების ყოვლად არაადამიანური ფიზიკური შეურაცხყოფისა და, საერთოდ, ქართველი ჯარისკაცების დევნისა და აღკვეთის შესახებ; რომ ჩვენი შვილები გათავისუფლებული იქნან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული ინციდენტის მიზეზები რუს ოფიცერთა მხრიდან ქართველი ჯარისკაცებისადმი დაუნდობელ და უსამართლო მოპყრობაში მდგომარეობს და დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემულ უნდა იქნან მათი მწამებლები.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი მახინჯი ფაქტების ძირფესვიანად აღკვეთა შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი საკითხის გადაწყვეტით: საქართველოს ყველა მოქალაქემ სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე და ამიტომ პატრიოტული ვალი მოითხოვს თქვენგან, რომ სათანადოდ დააყენოთ საკითხი ამის თაობაზე.

რიგითი ჯარისკაცების მშობლები. თ.ლებანიძე
დ.გვიმრაძე
ი.ბექაური

ქართველი ჯარისკაცების შევიწროვება, მათი ტანჯვა-წამება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამხედრო ნაწილებში, შიშველი ფაქტია, რომელიც, საუბედუროდ, სულ უფრო და უფრო მატულობს. დიახ, პერმანენტულად ახალი და ახალი ცვარები ჩნდებიან ნამებული და მათ შორის, მოკლული ახალგაზრდებისა, ვიმეორებთ, ეს არის ფაქტი, შიშველი ფაქტი და ახლა კიდევ ერთ, ვფიქრობ, არასასურველ ფაქტზე მიგითითებთ: 1988 წლის ფარული ინსტრუქციის ძალით მით-ქმის არც ერთი წვევამდელი აღარ რჩება საქართველოში, რადგან მათი "ტოტალური" "გარეკვა" რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო გასული წლის შემოდგომაზე ათი ათასობით ახალგაზრდა გაიწვიეს, უფრო სწორად, "გაასახლეს" ციმბირის, კამჩატკის და ა.შ. რეგიონებში. ვიცყვეთ, რომ ქართველი ჯარისკაცების ბედი აღელვებს როგორც ერთი მხრივ, სამართალდამცველებს, რამდენადაც ჩვენ ვალდებული ვართ, მთელი გულისყურით ვრეაგირებდეთ საერთოდ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, მეორე მხრივ- როგორც პატრიოტებს, რამდენადაც ირღვევა, ილახება ჩვენი სისხლხორცეული ძმების – ქართველების – უფლებები და უმეტეს შემთხვევაში სწორედ, რომ ნაციონალური ნიშნებით. და ბოლოს, საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველი ჯარისკაცების მსახურება აღელვებს, როგორც მედგა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების შელახვა გათელვისა, საქართველოს სუვერენიტეტის შეურაცხყოფისა, რადგან ჭეშმარიტად სამარცხვინოა შეურაცხყოფილი ის ერი, რომელსაც უფლება არ აქვს, იყოლიოს საკუთარი შეიარაღებული ჯარები. დღეს ასეთ მდგომარეობაშია საქართველო და ის ქართველ პატრიოტებს ეროვნული საჯარისო შენაერთები "თავისთავის კი არ უნდათ", როგორც ამას ზოგიერთი უგუნური გამოთქვამს, არამედ საქართველოსთვის, საქართველოს ღირსების აღდგენისათვის. იმ ზოგიერთებს კი, როგორც ჩანს, ეროვნულ საჯარისო შენაერთებს ჩვენს მიწა-წყალზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების არსებობა ერჩივნია. ჩვენ დაჟინებით, დაუღალავად ვსვამდით ვსვამთ და კვლავ დავსვამთ საკითხს ქართველების ქართველების მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის საქართველოშივე გავლის შესახებ, რადგან ეს არის ერთადერთი გზა და საშუალება, ერთი მხრივ, ქართველი ჯარისკაცების არაადამიანური და ეროვნული უფლებების დაზღვევისა და მეორე მხრივ , -საფუძველი, საძირკველი ნაციონალური შენაერთების შექმნისა. უცნაურია, რომ ზოგიერთ ქართველს აღიზიანებს სამხედრო საკითხი და ქართველების დისკრიმინაციის ფაქტებს ცრუმონაჭორად ასაღებს, ამით კი იგი ცხადია ამართლებს თავის უმოქმედობას, თავის უუნარობას, რათა მცირედი მაინც გაიღოს ძმათა და ერის სამსახურისათვის.

ხშირად ისმის კითხვა – რამდენ რეალურია სამხედრო პრობლემების გადაწყვეტა? დიახ, პრობლემა, უფრო, რთულია, უაღრესად რთული და, შეიძლება, სხვა-
ზე

ზე გაცილებით რთული, რადგანაც მისი გადაჭრით ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოს სუვერენიტეტის მოპოვებისათვის და საბოლოო ჯამში სრული და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ პრობლემების სირთულე არ ნიშნავს მის არარეალურობას. თუკი არარეალურია ბრძოლა იმისათვის, რომ ქართველებმა აქ მოიხადონ სამხედრო სამსახური, მაშინ რაღა ითქმის დამოუკიდებლობის მიღწევაზე? მაშინ ჩვენთვის ესოდენ სანუკვარი მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობა - მთლად ილუზია ყოფილა! რაოდენ რეალურია? რეალური აღმოჩნდება, თუკი გავიაზრებთ შემდეგ ვითარებას: უპირველეს ყოვლისა, გავიაზრებთ, რომ 20-იან, 30-იან და40-იან წლებში საქართველოში მართლაცდა მოქმედებდნენ საჯარისო ფორმირებები და ამდენად, რეალურად სახეზეა მათი არსებობის ტრადიცია/მოგეხსენებათ, რომ 20-იან წლებში ჩამოყალიბდა მეორე დივიზია, და სხვა სამხედრო ნაწილები; 1938 წელს გაუქმებული იქნა ეროვნული ფორმირებები, მაგრამ ე.წ. სამამულო ომის წლებში კვლავ დაიწყო ეროვნულ დივიზიათა ჩამოყალიბება: 392, 394, 224, 242, 295, 405, 414-ე დივიზიები/. მეორეც ერთი, გავიაზრებთ, რომ 1944 წლის 1 თებერვალს მიღებული სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილების ძალით დაკანონდა ეროვნული საჯარისო ფორმირებების არსებობა და ეს კანონი დღემდე არ არის გაუქმებული. ამ ფორმირებათა დაშლა დაწყებული იქნა ისე, რომ სსრკ უმაღლეს საბჭოს არ გაუუქმებია აღნიშნული დადგენილება და შესაბამისად არ მიუღია ახალი დადგენილება მათი დაშლის შესახებ. ეს არის "შესანიშნავი" მაგალითი, ტიპიური მაგალითი საბჭოური პოლიტიკის ჭეშმარიტი არსისა და სახელდობრ იმისა რომ სსრკ იყო და კვლავ აც რჩება სახელმწიფოდ, რომელსაც თვითნებური ინსტრუქციებით მართავენ ადამიანები და არა თავისივე კანონები. და ახლა, როდესაც საბჭოეთის ცენტრალურ ხელისუფლებას პრეტენზია აქვს, შექმნას სამართლებრივი სახელმწიფო და ხმამაღლა აცხადებს სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის - საბჭოეთისათვის და საბოლოოდ კი - უმაღლესი საბჭოებისათვის უზენაესი ხელისუფლების გადაცემას, მაშინ ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას არაკანონიერი, თვითნებური მოქმედების აღკვეთა და მისივე სახელმწიფოებრივი კანონის აღსრულება. იგი ვალდებულია, მისივე უმაღლესი ძალოსილების მქონე კანონის საფუძველზე დაჰგმოს ეროვნულ დივიზიათა დაშლის თვითნებური მოქმედების პრაქტიკა და თანმიმდევრულად შეუდგეს მათ აღდგენას. ვგონებ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ აშინებდათ ეროვნული დივიზიების არსებობა ადრეულ წლებში და ახლა რატომაა მათი აღდგენა ბევრად უფრო დიდი შიშის კომპლექსთან დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შეადარეთ იმდროინდელი, ბელადების კულტით დაბრმავებული ადამიანის შეგნების დონე ახლანდელს, ამ პერიოდს, როდესაც ჩვენში და ჩვენ ირგვლივ ნამდვილად იწყება ჭეშმარიტად ქართული სულისკვეთების გამოღვიძება-აღმავლობა! და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი მოხერხდება საქართველოში/და ეს უთუოდ მოხერხდება/ეროვნულ სამხედრო ფორმირებათა აღდგენა, ისინი ახლა უკვე ჭეშმარიტად ქართული, არა მხოლოდ გენეტიკურად, არამედ თავისი სულისკვეთებითაც ქართული იქნება. და ბოლოს, სამხედრო საკითხის გადაწყვეტა რეალური იქნება, თუკი გავიზიარებთ მთავარს, სახელდობრ, რომ მისი რეალიზაციის უპირველესი საწინდარი თავად ჩვენ ვართ, ჩვენი ძალებით, ენერგიით, ბრძოლისუნარიანობით ქართველი წვევამდელები აქ დარჩებიან და მოიხდიან სამხედრო სამსახურს, თუკი გავიზიარებთ სინამდვილეს, არ შევეგუებით მათ გადასახლებას, დიახ, სწორედ რომ გადასახლების დანაშაულებრივ პრაქტიკას. ჩვენ ვალდებული ვართ, შეუსვენებლივ დავაყენოთ მოთხოვნები ამ საკითხის კონსტიტუციური გადაწყვეტისათვის: უნდა მოვითხოვოთ მისი საჯარო განხილვა, მისი გატანა რეფერენდუმზე, უწყვეტად ვაგზავნოთ პეტიციები და თუკი ხელისუფლება არ ინებებს ყურის თხოვებას, მაშინ უკვე ვალდებულები ვიქნებით, მტკიცედ დავდგეთ და არ დავემორჩილოთ აღნიშნულ პრაქტიკას. ჩვენ უნდა მზად ვიყოთ ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის, რათა არ იქნენ გაწვეული ჩვენი ბიჭები საქართველოს ფარგლებს გარეთ!

ირაკლი ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი ბათიაშვილი, კობა ლურსმანაშვილი, აკაკი მეორჩვაძე, ნიკა გაბრიჩიძე

ბიულეტენი გამოსცა კობა ლურსმანაშვილმა 1989 წელი.